



## ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

№3350

28.03.2016

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო  
დეპარტამენტის უფროსს  
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 3 ივლისის №3918-რს დადგენილების შესაბამისად, გიგზავნით ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დასკვნას „2014 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ სახალხო დამცველის ანაგარიშის მიხედვით საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 3 ივლისის დადგენილებით მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

დანართი: „52“ გვერდი

პატივისცემით,

ეკა ბესელია  
კომიტეტის თავმჯდომარე

დასკვნა

„2014 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 3 ივლისის დადგენილებით მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე

2015 წლის 31 მარტს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს წარუდგინა ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

ანგარიშის მოსმენის შედეგად საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 3 ივლისის მიიღო დადგენილება N3918-რს „2014 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე, რომლითაც საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა ომბუდსმენის რეკომენდაციები და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს დაავალა რეკომენდაციების შესრულებისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებაზე მონიტორინგი. ამასთან, პარლამენტის ამავე დადგენილებით კომიტეტისთვის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენის ვადად განისაზღვრა 2016 წლის 1 მარტი.

2016 წლის 11, 12, 15 და 16 თებერვალს კომიტეტში გაიმართა „2014 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 3 ივლისის დადგენილებით მიღებული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის განხილვები და კომიტეტის წინაშე სხვადასხვა უწყებამ წარმოადგინა ანგარიშები რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

ამით კომიტეტმა გააგრძელა მის მიერვე შექმნილი პრაქტიკა, როდესაც სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულებაზე მოსმენა და განხილვა მიმდინარეობს არა ფორმალურად, როგორც ეს ხდებოდა 2012 წლამდე პარლამენტში, ცნობად მიღების მიზნით, არამედ დეტალურად, სიღრმისეულად და ფართო მონაწილეობით—აღმასრულებელი ხელისუფლების და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით.